საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №44/ნ
2023 წლის 12 ივნისი

ქ. თბილისი

„ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო დოკუმენტებისა და სერტიფიკატების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 23 მაისის №56/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო დოკუმენტებისა და სერტიფიკატების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 23 მაისის №56/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge 23/05/2014, 430210000.22.022.016791) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების:

1. პირველი მუხლით დამტკიცებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – ატესტატის ფორმა ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;

2. მე-2 მუხლით დამტკიცებული საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – ატესტატის ფორმა ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად;

3. მე-4 მუხლით დამტკიცებული საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – დიპლომის დუბლიკატის ფორმა ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად;

4. მე-5 მუხლით დამტკიცებული სახელობო განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის – სერტიფიკატის დუბლიკატის ფორმა ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №4-ის შესაბამისად;

5. მე-6 მუხლით გათვალისწინებული №6 დანართის:

ა) პირველი მუხლის პირველი პუნქტის:

ა.ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) შეიცავდეს სახელმწიფო გერბს;";

ა.ბ) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) საბაზო და სრული ზოგადი განათლების ატესტატი იბეჭდება თეთრ ფონზე – C:100 M:81 Y:0 K:13 ჩარჩო;";

ა.გ) „თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) გამოყენებული შრიფტი FIRA GO;“.

ბ) მე-2 მუხლის:

ბ.ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) შეიცავდეს სახელმწიფო გერბს;“;

ბ.ბ) „კ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ლ“ ქვეპუნქტი:

,,ლ) გამოყენებული შრიფტი FIRA GO;“.

მუხლი 2

ბრძანება ძალაშია 2023 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **გიორგი ამილახვარი**